



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

თვის მიმოხილვა

2023

ინფლაცია	3
საბანკო სექტორი	5
საგარეო სექტორი	7
სავალუტო ბაზარი	11
ფულადი ბაზარი	14
მონეტარული აგრეგატები	15


“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ინფლაცია


2023 წლის აგვისტოში წლიურმა ინფლაციამ 0.9% შეადგინა, ხოლო ივლისთან შედარებით ფასებმა 0.7%-ით მოიმადა.

დაბალ ინფლაციას დიდწილად ეგზოგენური შოკების ეცაოპრივი ამოწურვა განაპირობებს. კერძოდ, საერთაშორისო ბაზრებზე შემცირებული სურსათის ფასები და გაიაფებული საერთაშორისო გადაზიდვების ღირებულება საქართველოს ბაზარს გადმოეცა და ინფლაცია შეამცირა. ბოლოდროინდელი ნავთობის ფასის ზრდამ წინა თვესთან შედარებით ბენზინის ფასი გააძვირა, თუმცა წლიურად კვლავ შემცირებულია. ინფლაციის დაბალ დონეზე შენარჩუნებას ასევე გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკაც ხელს უწყობს.

თვის ინფლაცია 0.7% (წლილი)



წლიური ინფლაცია 0.9% (წლილი)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები


აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, ფასების საერთო დონეზე ყველაზე დიდი გავლენა მწვანილის ფასის 115.9%-ით ზრდას ჰქონდა, რამაც თვის ინფლაცია 0.4 პროცენტული პუნქტით (პპ) გაზარდა. წინა თვესთან შედარებით ბენზინის 4.2%-ით გაძვირებამ თვის ინფლაციაზე დამატებით 0.2 პპ გავლენა იქონია.

ბოლო პერიოდში ბენზინის ფასების მაღების მიუხედავად, წინა წელთან შედარებით მისი დონე 22.0%-ით არის შემცირებული, რამაც წლიურ ინფლაციაში უარყოფითი 0.9 პპ-იანი წვლილი შეიტანა. ამავედროულად წლიურად 31.1%-ით არის გაიაფებული დიზელის ფასიც, რისი გავლენაც ინფლაციაზე უარყოფითი 0.4 პპ-ს შეადგენდა.

აგვისტოში სურსათის ფასები წლიურად 2.2%-ით არის გაზრდილი, რამაც ინფლაცია 0.7 პპ-ით გაზარდა. გაძვირებული სურსათიდან გამოსარჩევია მწვანილი და ძროხის ხორცი, რომელთა ჯამური წვლილი წლიურ ინფლაციაში 0.9 პპ იყო, ხოლო გაიაფებული სურსათიდან აღსანიშნავია მზესუმზირის ზეთი და პური. ამ ორი პროდუქტის გაიაფებამ ინფლაცია ჯამში 1.1 პპ-ით შეამცირა. აგვისტოში დანარჩენი პროდუქტებიდან გამოსარჩევი ფართოდ მოხმარებადი მედიკამენტების გაიაფება იყო, რაც ჯამში ინფლაციას 1.0 პპ-ით ამცირებდა, ხოლო გაზრდილი საბანკო მომსახურების და ბინის დაქირავების ღირებულება ინფლაციას შესაბამისად, 0.4 პპ-ით და 0.2 პპ-ით ზრდიდა.


საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მალალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომატარებლების და სიგარეტის ფასებს გამორიცხავს შემცირდა და 2.5% შეადგინა.

მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი

ჯგუფების წლილი მთლიან ინფლაციაში




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ინფლაციის შემცირებას მეტწილად იმპორტული ინფლაციის კლება განაპირობებს. ბოლო ერთი წლის განმავლობაში იმპორტული ინფლაციის, ძირითადად, მკვეთრად კლების ტენდენცია აქვს, რასაც საერთაშორისო ბაზრებზე სასაქონლო პროდუქტების ფასების და საერთაშორისო ტრანსპორტირების ხარჯების შემცირებასთან ერთად გამყარებული გაცვლითი კურსი უწყობს ხელს. აგვისტოში იმპორტირებული საქონლის წლიური 5.8%-იანი დეფლაცია დაფიქსირდა. დაახლოებით ასეთივე დინამიკა აქვს შერეულად წარმოებული პროდუქტების ფასებს, რომელთა დეფლაცია აგვისტოში 1.9%-ს გაუცოლდა.

ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების წლიურმა ინფლაციამ გასულ თვესთან შედარებით 1.1 პპ-ით მოიკლო, თუმცა ჯერ ისევ მაღალია და 6.1%-ს შეადგენს. წინა თვესთან შედარებით ადგილობრივი ინფლაციის შემცირება მეცნილად ზოგიერთი მომსახურებისა და სურსათის საბაზო ეფექტის ამოწურვის ხარჯზე მოხდა. ჯერ კიდევ მაღალ ადგილობრივ ინფლაციას მომსახურების წლიური გაძვირება (8.4%) განაპირობებს. მომსახურების ინფლაციის წვლილი ადგილობრივ ინფლაციაში 4.6 პპ-ია. თავის მხრივ, მომსახურების ინფლაციაში მაღალი წვლილი აქვს საბანკო მომსახურების გაძვირებას (1.6 პპ მომსახურების ინფლაციაში) და გასულ წელს უცხოელთა რაოდენობის მკვეთრი მატების შედეგად გაზრდილ ბინის დაქირავების ღირებულებას (0.8 პპ მომსახურების ინფლაციაში).

იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში




ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2023 წლის წონები	აგვ23/ივლ23		აგვ23/აგვ22	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.7%	0.7%	0.9%	0.9%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	33.7%	2.1%	0.7%	2.4%	0.8%
სურსათი	30.9%	2.3%	0.7%	2.2%	0.7%
პური და პურპროდუქტები	6.1%	-1.2%	-0.1%	-7.9%	-0.5%
ხორცი და ხორცპროდუქტები	7.0%	0.3%	0.0%	5.8%	0.4%
თევზი	0.5%	1.0%	0.0%	9.7%	0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	6.9%	3.4%	0.2%	-0.3%	0.0%
ზეთი და ცხიმი	2.6%	-1.1%	0.0%	-26.3%	-0.8%
ხილი, ყურძენი	1.6%	1.7%	0.0%	12.9%	0.2%
ბოსტნეული, ბალჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.4%	19.3%	0.6%	46.4%	1.1%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.2%	-0.6%	0.0%	-1.2%	0.0%
კვების სხვა პროდუქტები	0.7%	0.1%	0.0%	-3.3%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.9%	-0.2%	0.0%	4.2%	0.1%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.9%	-0.4%	0.0%	5.7%	0.4%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	4.0%	-1.9%	-0.1%	-0.7%	0.0%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.0%	0.1%	0.0%	5.0%	0.4%
ავტო, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.2%	-0.1%	0.0%	-0.6%	0.0%
ჯანმრთელობის დაცვა	9.4%	-0.6%	-0.1%	-7.3%	-0.7%
ტრანსპორტი	12.3%	1.6%	0.2%	-7.9%	-1.1%
კავშირგაბმულობა	3.6%	-0.3%	0.0%	-2.7%	-0.1%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.1%	-0.3%	0.0%	-1.5%	0.0%
განათლება	4.4%	0.0%	0.0%	6.9%	0.3%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.1%	0.0%	0.0%	7.2%	0.2%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.3%	0.3%	0.0%	10.9%	0.6%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	63.6%	1.3%	0.8%	-1.3%	-0.8%
საშუალო მოხმარების საქონელი	7.1%	-1.6%	-0.1%	-1.0%	-0.1%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	4.9%	-0.4%	0.0%	-7.2%	-0.4%
მომსახურება	24.4%	0.3%	0.1%	8.4%	2.0%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი


ივლისში, საბანკო სექტორის სადეპოზიციო ვალდებულებები წლიურად 8.9 მლრდ ლარით გაიზარდა (თვითნებად 0.9 მლრდ ლარით გაიზარდა) და 47.7 მლრდ ლარი შეადგინა. სადეპოზიციო ვალდებულებები წლიურად 22.9%-ით გაიზარდა, მეტწილად ეროვნული ვალუტის დეპოზიტების მატების გავლენით. ივლისში წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტის სადეპოზიციო ვალდებულებები 509.4 მლნ ლარით (2.2%-ით) გაიზარდა და 23.4 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, მიმდინარე ანგარიშების მატებამ გამოიწვია. რაც შეეხება უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, წინა თვესთან შედარებით, 159 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. ივლისში, სამთავრობო სექტორის დეპოზიტები 52.1 მლნ ლარით შემცირდა.

სადეპოზიციო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადეპოზიციო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ივლისში დეპოზიტების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე) წინა თვესთან შედარებით 0.3 პპ-ით გაიზარდა და 7.0% შეადგინა. ეროვნული ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე საშუალო შენონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით 8.9%-მდე, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 0.1 პპ-ით 1.1%-მდე გაიზარდა. რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები შემცირდა, რაც ლარის დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთის კლებამ განაპირობა. კერძოდ, რეზიდენტების ლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.3 პპ-ით შემცირდა და 11.5% შეადგინა. ევროს დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.6 პპ-ით 1.3%-მდე გაიზარდა. აშშ დოლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით 1.5%-მდე შემცირდა.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

უცხოური და ეროვნული ვალუტის დეპოზიტების ზრდის ცემპებიდან გამომდინარე, დეპოზიტების დოლარიზაცია, 2023 წლის ივლისში, წინა თვესთან შედარებით, 0.4 პპ-ით შემცირდა და 50.6%-ს შეადგენს. ივლისის ბოლოს, ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.5 პპ-ით 67.0%-მდე შემცირდა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით უცვლელია და 32.9% შეადგენს. თუმცა, ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია ივლისში, წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით 61.9%-მდე გაიზარდა.


**დამოზიდვის დოლარიზაცია
(კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივლისში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხები წლიურად 14.5%-ით გაიზარდა. სესხების ზრდის ტემპმა წინა თვესთან შედარებით 1.0 პპ-ით მოიმატა. ივლისში, ლარით დაკრედიტება წლიურად 14.8%-ით, 26 მლრდ ლარამდე გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 8.0 პპ-იანი წვლილი შეიტანა. უცხოური ვალუტით დაკრედიტება (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით) 14.0%-მდე გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 6.5 პპ-იანი წვლილი შეიტანა. უცხოური ვალუტით დაკრედიტების ზრდა ძირითადად ბიზნეს სესხებით არის განპირობებული, რომლის წვლილი მთლიანი სესხების ზრდაში, წინა თვესთან შედარებით, 0.9 პპ-ით გაიზარდა. იპოთეკური სესხების წვლილი კი თითქმის არ შეცვლილა. სამომხმარებლო სესხების ზრდის ტემპი 0.4 პპ-ით 21.2%-მდე შემცირდა. თუმცა კვლავ მაღალ დონეზეა და მთლიან სესხების ზრდაში 3.6 პპ-იანი წვლილი შეიტანა.

**სესხების წლიური ზრდის ტემპი
(კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ივლისში სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.5 პპ-ით გაიზარდა და 13.6% შეადგინა. ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.34 პპ-ით 16.25%-მდე გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.5 პპ-ით 8.5%-მდე შემცირდა.

**საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე
გაცემულ სესხებზე (ნაპალი)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ფიზიკური პირების ვალდანი დამოზიდვის დოლარიზაცია
(კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სესხები მიზნობრიობის მიხედვით
(წლიური ზრდის ტემპი; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე (ნაპალი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივლისში იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით გაიზარდა და 14.0% შეადგინა. იპოთეკურ სესხებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით შემცირდა და 11.9% შეადგინა. ივლისში, წინა თვესთან შედარებით, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით 9.3%-მდე შემცირდა. უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთები 0.1 პპ-ით 7.0%-მდე შემცირდა.


ივლისში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით, 0.1 პპ-ით გაიზარდა და 45.5%-ს გაუცოლდა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია წინა თვესთან შედარებით 0.6 პპ-ით გაიზარდა და 64.6%-ს შეადგენს, ხოლო ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია 0.3 პპ-ით 29.6%-მდე შემცირდა. ივლისში ვადაგადაცემული სესხები წინა თვესთან შედარებით 25.6 მლნ ლარით გაიზარდა და 470.5 მლნ ლარს გაუცოლდა. ვადაგადაცემული სესხების 42.0% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ვადაგადაცემული დავალიანება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საგარეო სექტორი


2023 წლის ივლისში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წელთან შედარებით 2.8%-ით გაიზარდა და 657.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. **საგარეო ვაჭრობის დეფიციტის მცირედი მატება იმპორტის ზრდის დაბალ ტემპს უკავშირდება.** აღნიშნულ თვეში, საქონლის იმპორტმა წლიურად 1.2%-ით 1,186.6 მლნ აშშ დოლარამდე მოიმატა, ხოლო ექსპორტი წლიურად 0.7%-ით შემცირდა და 529.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და საგარეო ბალანსის დინამიკა



წყარო: საქსტატი


საგარეო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (ივლისი 2023)




წყარო: საქსტატი

იმპორტი - ივლისში საქონლის იმპორტი წლიურად 1.2%-ით გაიზარდა. საქონლის იმპორტის მატება უმეტესად სამომხმარებლო სახის საქონლის იმპორტის ზრდამ განაპირობა. კერძოდ, სამომხმარებლო სახის საქონლიდან ზრდაში ყველაზე მეტი წვლილი მსუბუქი ავტომობილების იმპორტმა შეიტანა. ეს უკანასკნელი ასევე მნიშვნელოვნად, წლიურად 25%-ით გაიზარდა. გარდა ამისა, სამომხმარებლო საქონლიდან სხვა საფრენი აპარატების, სატელეფონო აპარატებისა და სამკურნალო საშუალებების შემოტანა გაიზარდა, ხოლო მეორე მსხვილი საიმპორტო ჯგუფის - ნავთობისა და ნავთობპროდუქტების - იმპორტი წლიურად მნიშვნელოვნად შემცირდა, რამაც სამომხმარებლო სახის საქონლის იმპორტის ზრდა შეანელა. აღსანიშნავია ასევე ელექტრონიკის წილის გაზრდა და სიგარეტები-სიგარიტების გაზრდილი იმპორტი. შუალედური სახის საქონლის იმპორტმა დაიკლო, რაც უმეტესად რეექსპორტისთვის განკუთვნილი სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების მნიშვნელოვნად შემცირებამ განაპირობა. მეორე მხრივ, შავი მეტალოკონსტრუქციებისა და ხორბალი-მესლინის იმპორტმა მოიმატა. საინვესტიციო საქონლის იმპორტის მატება უმეტესად დრეჟირების, სადვირთო ავტომობილებისა და სამშენებლო მანქანების შესყიდვებმა გაზარდა. მთლიანობაში, საქონლის იმპორტი წინა წელთან შედარებით რეალურად 20.7%-ით გაიზარდა.

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



საქონლის რეალური იმპორტი (წლიური ცვლილება)



ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან იმპორტის მატებაში მატალი წვლილი შეიძლება აზერბაიჯანმა, რაც ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ასევე პორცლანდცემენტის შემოტანის მატებას უკავშირდება. ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტის მატების კუთხით გამოირჩეოდა გერმანია, ძირითადად მსუბუქი ავტომობილებისა და სამკურნალო საშუალებების მატალი შესყიდვების გამო. იტალიიდან და ნიდერლანდებიდან იმპორტის მატება ტრექტორების, ასევე სამედიცინო მოწყობილობების, ჩეხეთიდან საცელეფონო აპარატებისა და ცურბორეაქციული ძრავების, ხოლო ლიეცუვადან სამკურნალო საშუალებების ზრდამ განაპირობა. სხვა ქვეყნებიდან აღსანიშნავია ჩინეთიდან ნახშირბადიანი ფოლადის ნაგლინის, პნევმატური საბურავებისა და ჰაერის კონდენსირების მოწყობილობების, აშშ-დან და იაპონიიდან მსუბუქი ავტომობილების, არაბთა გაერთიანებული სამიროებიდან საცელეფონო აპარატების, შაქრისა და სხვა საფრენი აპარატების, ბელარუსეთიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მნიშვნელოვანი ზრდა. ამის საპირისპიროდ, სომხეთიდან და ჩილედან სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, თურქეთიდან სამკურნალო საშუალებებისა და სიგარეტები-სიგარიტების, ხოლო რუმინეთიდან და თურქმენეთიდან ნავთობის და ნავთობპროდუქტების იმპორტი არსებითად შემცირდა. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 61% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.


ივლისში იმპორტირებულ საქონელში, წამყვანი წილი მსუბუქ ავტომობილებს, ასევე ნავთობპროდუქტებსა და დაფასოებულ სამკურნალო საშუალებებს (29%-იანი წილი მთლიან იმპორტში) ეჭირა. აღსანიშნავია, რომ ივლისში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის ივლისთან შედარებით უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით (ივლისი, 2023, მლნ აშშ დოლარი)

საქონლის იმპორტი	საქონლის იმპორტი	სამკურნალო საშუალებები, 43		საგელეფონო აპარატები, 30
		სპილენძის მადნები და კონცენტრატები, 19	სიგარეტები, 14	ტრექტორები და სავაჭრო საწარმოები, 14
მსუბუქი ავტომობილები, 191	ნავთობი და ნავთობპროდუქტები, 112	ნავთობის აირები, 15	საფრენო ავტომობილები, 14	შაქარი, 14


წყარო: საქსტატი

ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში - (ივლისი, 2023)




ექსპორტი - ივლისში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 0.7%-ით შემცირდა. საქონლის ექსპორტის კლება მეტწილად შუალედური საქონლის ექსპორტის შემცირებამ განაპირობა, ხოლო სამომხმარებლო საქონლის ექსპორტმა მნიშვნელოვნად მოიმატა. სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის მატებაში მნიშვნელოვანი წვლილი (32.6 პპ) მსუბუქი ავტომობილებმა შეიძლება. გარდა ამისა, შუალედური სახის საქონლის ჯგუფში ფეროშენადნობების, ასევე სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების და ქიმიური სასუქების ექსპორტი წლიურად მნიშვნელოვნად შემცირდა, რამაც მთლიანი ექსპორტის კლება განაპირობა. აღსანიშნავია, რომ ელექტროენერგიის ექსპორტმა ივლისში წლიურად მნიშვნელოვნად მოიმატა. გარდა ამისა, საინვესტიციო საქონლიდან სხვა საფრენი აპარატებისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ექსპორტი შემცირდა, ხოლო ტრექტორებისა და სპეციალიზირებული ავტომობილების ექსპორტმა მოიმატა. ივლისში საქონლის ექსპორტის მოცულობა რეალურად 3.5%-ით შემცირდა.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის რეალური ექსპორტი (წლიური ზრდა)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

რეგიონის ქვეყნებიდან საექსპორტო შემოსავლების კლებაში მაღალი წვლილი შეიძლება უკრაინაში ექსპორტის კლებამ, რაც მსუბუქი ავტომობილების მნიშვნელოვნად შემცირებულ გაყიდვებს უკავშირდება. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ჩინეთში სპილენძის, ასევე ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების, აშშ-ში ფეროშენადნობების, პერუში მინერალური და ქიმიური სასუქების, საუდის არაბეთში ცოცხალი წვრილფეხა საქონლის, ხოლო ბელარუსში საცვიროთო და მსუბუქი ავტომობილების გაყიდვების შემცირება. ამის საპირისპიროდ, რეგიონის სხვა ქვეყნებში ექსპორტის ზრდა გაგრძელდა. კერძოდ, თურქეთში ექსპორტის მატება ელექტროენერგიისა და სხვადასხვა ტიპის დანაცმლის გაყიდვების ზრდამ განაპირობა, თუმცა ფეროშენადნობების ექსპორტი წლიურად კვლავ შემცირდა. **ყირგიზეთთან, ყაზახეთთან და ტაჯიკეთთან, მსუბუქი ავტომობილების მაღალი რეექსპორტის გამო, ამ ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის ბალანსი, იანვარ-ივნისის მსგავსად, ივლისში კვლავ დადებითი იყო.** აღსანიშნავია, რომ სამკურნალო საშუალებების მაღალი ექსპორტის გამო, უზბეკეთთან ასევე დადებითი სავაჭრო ბალანსი დაფიქსირდა. აზერბაიჯანსა და სომხეთში ექსპორტის მატება მსუბუქი ავტომობილების გაყიდვებს მატებას უკავშირდება. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ერაყში ცოცხალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, უგანდაში შერეული საქონლის, არაბთა გაერთიანებული საამიროებში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ხოლო ეგვიპტეში მზა სამსხმელო ნივთიერებების გაყიდვების ზრდა. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი ექსპორტის 76% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.


ივლისში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (35%-იანი წილი მთლიან ექსპორტში) ეჭირა. მაღალი იყო ასევე სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ასევე ელექტროენერგიისა და ყურძნის ნაფურალური ტვინოების ექსპორტი. საქონლის ექსპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი (15.9 პპ მთლიან ზრდაში) მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა შეიძინა, რომელიც წლიურად 1.8-ჯერ გაიზარდა. ექსპორტის მოცულობაზე საცელეფონო აპარატებზე, სამკურნალო საშუალებებზე, ტრაქტორებსა და საცვიროთო ავტომობილებზე, სამედიცინო აპარატურასა და შავი ლითონების მეტალოკონსტრუქციებზე საგარეო მოთხოვნის არსებითი მატება (ჯამურად 3.2 პპ წვლილი მთლიანი ექსპორტის ზრდაში) დადებითად აისახა. ამის საპირისპიროდ, სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ასევე სხვა საფრენი აპარატების ჯგუფების ექსპორტი შემცირებულია. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (ივლისი 2023, მლნ აშშ დოლარი)

სპილენძის მადნები და კონცენტრატები, 39		ელექტროენერგია, 27	
ყურძნის ლიწოვები, 24	სპირტიანი სასმელები, 15		სამკურნალო საშუალებები, 14
	მინერალური და მტკნარი წყლები, 12		მსხვილფეხი რქოსანი პირუტყვი, 10
მსუბუქი ავტომობილები, 187		მზისურბი, თბილი კვარცი, 11	

წყარო: საქსტატი

მყვანების წილი საქონლის ექსპორტში (ივლისი 2023)




წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები - ივლისში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობამ წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 1.6%-ით დაიკლო და 301.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადმორიცხული თანხების მოცულობა 2.5%-ით 28.4 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა.


რუსეთიდან ფულადი გადმორიცხვები ივლისში კვლავ მაღალი იყო (74 მლნ აშშ დოლარი), თუმცა წლიურად 27%-ით შემცირდა. ივლისში, რეგიონის ქვეყნებიდან, ყაზახეთიდან გადმორიცხული ფულადი სახსრები მნიშვნელოვნად (62.0%-იანი ზრდა) გაიზარდა, ხოლო ყირგიზეთიდან და აზერბაიჯანიდან გადმორიცხულმა თანხებმა დაიკლო, შესაბამისად 65.1%-ით და 23.7%-ით. გარდა ამისა, თურქეთიდან გადმორიცხული თანხები მცირედით მეტი იყო, ხოლო უკრაინიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილები კვლავ მინიმალურ დონეზე დარჩა. მაღალი ცემპით ზრდას განაგრძობს აშშ-დან გადმორიცხული ფულადი სახსრებიც (40.1%-ით). **ივლისში ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (40.0%), რუსეთი (24.5%) და აშშ (13.3%) წარმოადგენდა.** ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის, საბერძნეთისა და გერმანიის მაღალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებაში
(ივლისი 2023)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილების ზრდა
(წლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზარი


ივლისში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.6178-დან 2.5975-მდე (0.8%-ით) გამყარდა, ხოლო ევროს მიმართ საშუალოდ 2.8359-დან 2.8674-მდე (1.1%-ით) გაუფასურდა. თვის ბოლოს კი ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.6433 და 2.9060 შეადგინა. ივლისში ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალურმა მნიშვნელობამ - 2.6491, ხოლო მინიმალურმა 2.5692 შეადგინა.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი
აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაგრამა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივლისში გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა, მინიმალურთან შედარებით თითქმის ორჯერ მეტად იყო გადახრილი.


ივლისში საშუალოდ დოლართან მიმართებაში შესამჩნევია თურქული ლირისა და რუსული რუბლის გაუფასურება, შედარებით ნაკლებად გამყარდა ევრო და ლარი, ხოლო სომხური დრამი და აზერბაიჯანული მანათი პრაქტიკულად უცვლელი დარჩა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა
(ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური
გაცვლითი კურსების ცვლილება დოლართან მიმართებით
(2023 წლის ივლისი; ზრდა=გაუფასურება)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები გამყარებას განაგრძობს. ივლისში წლიურად, ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 13.8%-ით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 26.9%-ით გამყარდა. რაც შეეხება თვიურ ცენდენციას, წინა თვესთან შედარებით, ივლისში ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 2.4%-ით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 4.3%-ით გამყარდა. ეფექტური კურსის გამყარება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე უარყოფითად აისახება, თუმცა იმპორტირებულ ინფლაციას ამცირებს.


სავაჭრო პარტნიორთაგან ივლისში წლიური ინფლაცია თურქეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, ევროზონაში, რუსეთში, აშშ-სა და ბელარუსში საქართველოზე მაღალი იყო, ხოლო დაბალი - სომხეთში. ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციებში კლების ტენდენცია შეინიშნება, თუმცა ჯერ ისევ მაღალ დონეზე ნარჩუნდება.

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იანვ 2020=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები (2023 წლის ივლისი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის დინამიკები


ივლისში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 13 ბანკი და 5¹ არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით თვითრად კონცენტრაცია გაზრდილია. **ჰერფინდალ-ჰირშმანის (HH) ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის კონკურენტულობაზე მიუთითებს.**

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი სავაჭრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივლისში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა გაიზარდა. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 373.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 74.0 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის ივლისთან შედარებით 158.9 მლნ აშშ დოლარით მეტია. ამავდროულად, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 7.1%-ით გაიზარდა, ხოლო წლიურად 1.6%-ით შემცირდა.


ივლისში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები თითქმის მთლიანად სპოტ² გარიგებებით ხდებოდა (99.5%) და 3,052.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 572.5 მლნ აშშ დოლარით (თვითრად 64.1 მლნ აშშ დოლარით შემცირებულია) გაზრდილია. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეოებზე, დანარჩენი კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 9.1% იყო. ჯამურად წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ თვის განმავლობაში 278.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

1 რომელიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.
2 სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

საპ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე




საოტ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა




ივლისში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ წლიურად უცხოურ ვალუტაზე როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება გაზრდილია. საერთო ჯამში, ივლისში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 345.8 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვითრად 88.7 მლნ აშშ დოლარით) და 1,647.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება, წლიურად 226.7 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვითრად 152.8 მლნ აშშ დოლარით შემცირდა) და 1,405.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოტ გარიგებებით როგორც ვალუტის შეძენაში, ასევე ვალუტის გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებზე მოდიოდა.

ივლისში სავალუტო ფორვარდ³ გარიგებებით კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 3.3 მლნ აშშ დოლარით (თვითრად 1.3 მლნ აშშ დოლარით) შემცირდა და 16.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვამ 0.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ბანკთაშორისი საოტ გარიგებებით შექმნილი და გაყიდული უცხოური ვალუტა




ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა




ივლისში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მოცულობა თვითრად 369.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 5.4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვებზე ზრდის მიმართულებით ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვებმა და უცხოური ვალუტით მოზიდულ სახსრებზე დასაცავი სარეზერვო ნორმების მოცულობის ზრდამ, ხოლო შემცირების მიმართულებით მთავრობის სავალუტო ხარჯებმა, მათ შორის, საგარეო ვალის მომსახურებამ იმოქმედა.

3 სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების ჰეჯირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

ივლისში სადებოზიფო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულის სამთვიანი სადებოზიფო სერტიფიკატი გაიყიდა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის ერთი სადებოზიფო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად წინა თვესთან შედარებით, სადებოზიფო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და ივლისის ბოლოს 60 მლნ ლარი შეადგინა.


ივლისში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 255.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. ივლისში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი, ხუთწლიანი და ორი ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 40, 90 და 85 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 149.8 მლნ ლარით გაიზარდა და 7,590.7 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 52.9%-ს კომერციული ბანკების, 30.7%-ს ეროვნული ბანკის, 11.7%-ს რეზიდენტების, ხოლო 4.7%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.

სადებოზიფო სერტიფიკატების მოცულობა (ნაპადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ივლისში სადებოზიფო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა, სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები კი შემცირდა. კერძოდ, ივლისში, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიფო სერტიფიკატებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.08 პპ-ით, 9.41%-მდე, გაიზარდა. რაც შეეხება სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთებს, 6-თვიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი უცვლელად 9.49%-ზე შენარჩუნდა. ერთწლიანი, ხუთწლიანი და ათწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები 0.2%, 0.1% და 0.2%-ით შემცირდა, და შესაბამისად 9.45%, 8.38% და 7.98%-ს შეადგენდა. ასევე შემცირდა ორწლიანი სახაზინო ვალდებულებების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.26 პპ-ით და 8.41% შეადგინა.

ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის შამოსავლიანობის მრუდი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივლისში, ბანკთაშორის ფულადი ბაზრის მოცულობა, თვითრად 3,713.1 მლნ ლარით, (წლიურად 7.2 მლნ ლარით შემცირდა) 8,324.0 მლნ ლარამდე შემცირდა, რაც მეცნილად ლარის ვალუტის რესურსით არის განპირობებული. ბანკთაშორის ფულადი ბაზრის დიდი წილი, მიუხედავად შემცირებისა, უცხოური ვალუტის ბრუნვაზე მოდის (74.7%), რომლის მოცულობაც თვითრად 881.5 მლნ ლარით (12.4%-ით) შემცირდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი, თვითრად 2,831.6 მლნ ლარით (57.4%-ით) შემცირდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე როგორც ლარის, ასევე უცხოური ვალუტის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები წინა თვესთან შედარებით 0.05 პპ-ით და 0.08 პპ-ით შემცირდა და შესაბამისად 10.27% და 2.50% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ივლისში ფულადი ბაზრის რესურსის 26.0% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 73.8% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორის ფულადი ბაზარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული აგრეგატები

ივლისში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 205.8 მლნ ლარით (3.3%) გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის 6.5 მლრდ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა საშუალო მაჩვენებლის მიხედვით წინა თვესთან შედარებით, 416.5 მლნ ლარით (6.7%-ით) გაიზარდა.


საბანკო სისტემაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო შესყიდვებმა 21.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო ინტერვენციებით ეროვნულ ბანკს ინტერვენციები არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა ივლისის განმავლობაში 278.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, სავალუტო ინტერვენციებით და BMatch მექანიზმით, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 256.7 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. ივლისში მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 40.9 მლნ ლარით შემცირდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 1,114.4 მლნ ლარს გაუცოლდა.

**სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება
კომპონენტების მიხედვით**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აგრეგატები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივლისში ნაღდ ფულზე მოთხოვნა 228.5 მლნ ლარით გაიზარდა. რეფინანსირების სესხები წინა თვესთან შედარებით 650.0 მლნ ლარით შემცირდა და 250.0 მლნ ლარი შეადგინა. ივლისში ერთთვიანი სესხი არ გაცემულა და შესაბამისად მისი ნაშთი უცვლელია. ამავე პერიოდში, მცირე და საშუალო ბიზნესის ლიკვიდობის მხარდაჭერი სესხის ნაშთი 118.8 მლნ ლარით გაიზარდა და 158.7 მლნ ლარს შეადგენს. ივლისში განთავსდა და დაიფარა 20-20 მლნ ლარის ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერთიფიკატები. მთლიანობაში, მიმდინარე თვეში, ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 531.3 მლნ ლარით შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 349.3 მლნ ლარს გაუცოლოდა. მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების წმინდა შესყიდვამ 60.0 მლნ ლარი შეადგინა და პორტფელის მოცულობა 60.0 მლნ ლარით გაიზარდა.


ივლისში ფართო ფულის (M3) მოცულობა თვითრად 1,204.8 მლნ ლარით გაიზარდა, როგორც ეროვნული ასევე უცხოური ვალუტით დეპოზიტების მატების გავლენით. M2 აგრეგატის ზრდა (703.7 მლნ ლარით ზრდა) მეტწილად ეროვნული ვალუტის დეპოზიტების ზრდამ განაპირობა.

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

